



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დვალაიშვილი აკაკი არჩილის ძე



ა. დვალაიშვილი

დვალაიშვილი აკაკი არჩილის ძე (23. I. 1922, თბილისი, – 1. V. 2008, იქვე), რეჟისორი. საქართველო. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1958).

1944 დაამთავრა საქართველო. ინდუსტრ. ინ-ტის ელექტროტექ. ფაკ-ტი, ხოლო 1949 – საქართველო. შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი (გ. ტოვსტონოგოვის სახელოსნო). იქვე დადგა ა. აფინოგენოვის „შიში“ და ა. ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი“. 1949 თბილ. შოთა რუსთაველის სახ. აკად. თეატრში დადგა სადიპლომო სპექტაკლი თ. დონჟაიშვილის „გამარჯვებულთა ღიმილი“ და დაინიშნა ამავე თეატრში რეჟისორის ასისტენტად (1955 მიენიჭა დამდგმელი რეჟისორის პირველი კატეგორია).

დ-ის დადგმულ სპექტაკლთა შორის აღსანიშნავია: ი. ჭავჭავაძის „თბილისელი ქალიშვილი“ (1951), ნ. გოგოლის „ბანქოს მოთამაშენი“ (1952), ს. კლდიაშვილის „დღესასწაული საკრაულაში“ (1953), ვ. კანდელაკის „სარეველა“ (1953), ვ. როზოვის „გზა მშვიდობისა“ (1955), მ. ჯაფარიძის „ჩვენებურები“ (1956) და სხვ.

1959 დაინიშნა კ. მარჯანიშვილის სახ. აკად. თეატრის დირექტორად და სარეჟისორო კოლეგიის თავ-რედ. 1961 – კულტურის მინისტრის პირველ მოადგილედ, პარალელურად ასრულებდა კ. მარჯანიშვილის სახ. აკად. თეატრის (1967) და ზ. ფალიაშვილის სახ.

ოპერისა და ბალეტის თეატრის (1973) დირექტორის მოვალეობას.

1973–90 იყო რესპ. კინემატოგრაფიის სახელმწ. კომიტეტის თავ-რე. მისი ინიციატივით შეიქმნა საქართვე. შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტში კინოსარეჟისორო ფაკ-ტი, დაარსდა კინომსახიობთა თეატრ-სტუდია, ჟურნ. „ალმანახი“.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1997).

ლიტ.: მამულიშვილი - აკაკი დვალისშვილი, შემდგენელ-რედაქტორი ს. მეტრეველი, თბ., 2009; მეტრეველი ს., მსახიობის თეატრის მოტრფიალე რეჟისორი, წგ. თამაშის ხელოვნება, თბ., 2016.

მ. გოგოლაშვილი
